ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4014975

ნომერი: AR1606401

თარიღი : 07.06.2018

გაცემის თარიღი : 14.06.2018

გაცნობის თარიღი : 20.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 47 , (ნაკვ. 35/4);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მაქაცარია პ/ნ 19001053838
- ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლეონიძის ქ. N2

ორგანიზაცია:

- შპს "ყაზბეგი 47" კოდი: 204538599

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან საპროექტო სარეკლამო აბრა დროებითი ხასიათის მატარებელია, მოთხოვნის ტექსტში დამატებით განმარტეთ ინფორმაცია რა ვადით ითხოვთ სარეკლამო აბრის განთავსებას.

განმარტეთ ეხება თუ არა სამუშაოები იჯარით გაცემულ ფართებს და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ , მოიჯარის თანხმობა ან მოიჯარე დარეგისტრიორდეს თანაგანმცხადებლად.
არ დგინდება შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის“ წარმომადგენლის უფლებამოსილება საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თეიმურაზ ბაბუნაშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ აქვს უფლება აღნიშნული საზოგადოების სახელით გასცეს ასეთი სახის თანხმობა ან წარმოდგენილ იქნეს განახლებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე, რომელიც გაცემული იქნება საზოგადოების წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ ასევე შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანცხადებლად. ასევე არ დგინდება სს „ბანკი რესპუბლიკას“ თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ვანო ბალიაშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ აქვს ასეთი სახის თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.